№975 2015 წლის 15 მაისი ქ. თბილისი

სსიპ - საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის მიერ განსახორციელებელი ღონისძიებების შესახებ

1. „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის დებულებისა და სამეთვალყურეო საბჭოს დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2005 წლის 23 ივლისის №118 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის „ღ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, სსიპ - საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდმა უზრუნველყოს:

ა) დუშეთის მუნიციპალიტეტში, რომკა-არხოტის უღელტეხილი - სოფელ ამღას საავტომობილო გზის კმ0+000-კმ26+183 მონაკვეთის და სოფლების, ახიელი-ჭიმღას დამაკავშირებელი საავტომობილო გზის კმ0+000-კმ2+164 მონაკვეთის სამშენებლო სამუშაოების შესყიდვა;

ბ) ამ პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული, 2015 წელს განხორციელებული ღონისძიებების დაფინანსება, „საქართველოს 2015 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე, სსიპ - საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდისათვის დამტკიცებული, „საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის მიერ განსახორციელებელი პროექტები“ - ქვეპროგრამით (პროგრამული კოდი: 25 03 01) განსაზღვრული ასიგნებებიდან.

2. საქართველოს ფინანსთა და საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროებმა, შესაბამისი წლების სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტების მომზადების დროს, გაითვალისწინონ ამ განკარგულების პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრული ღონისძიებების დაფინანსებისათვის საჭირო შესაბამისი თანხები, სსიპ - საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის წინადადებების საფუძველზე.

პრემიერ-მინისტრი **ირაკლი ღარიბაშვილი**